



რედაქცია სპ. ს. ს. - დ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.  
 Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# რვაენი დროშა

" NOTRE DRAPEAU "

დაარსებულია 1904 წელს

ა ბ ვ ი ს ტ რ 1 9 8 0 კ ა რ ი ზ ი

№ 95

შინაარსი:

- აგვისტო
- ისლამი
- კავკასიის პრობლემა
- შევარდნაძე რუსული ენის პროპაგანდისტი. იაკ. კირხელი
- საბჭოთა სასოფლო მეურნეობის
- გაკოტრება.
- კ. ინასარიძე
- პოლონეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობიდან.
- 26 მაისი პარიზში.
- 26 მაისი სოჭოში.
- გარდაიცვალენ —
- ფონდი.....

Hors commerce



## აზვისტო

1924 წელს დატრილდა ქართველი ერის ტრადედია, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც თავდადებისა და გამირობის დაუფიწყარი თხრილი. ამ დღეს პატარა ერი უშიშრად დაეტაკა უძლიერეს სახელმწიფოს.

ჩვენი ერის დამპყრობელის, რებრესიებმა, შეურაცხყოფამ, უსამართლობამ და ადამიანის ღირსების წაბილწვამ, ქართველი ხალხი აიძულა უკიდურეს თავგანწირვისათვის მიემართა, ხელში იარაღი აეღო.

აგვისტოს აჯანყებით ქართველმა ხალხმა, საკუთარ სისხლით დასწერა თავისი ცხოვრების ფურცლებზე, რომ მას სურს იყოს საკუთარ თავის პატრონი, თავისი ქვეყნის ბატონი..

დღიდან რუსეთის შემოსევისა, სულიერი წინააღმდეგობა ქართველი ხალხისა ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა. ხალხმა დაინახა მტრის შემოსევა და მისი შედეგები; ამოძრავდა მთელი ხალხი, ამ ბრძოლაში ჩაება და გაერთიანდა მთელი ერი.

ისტორია არ დაივიწყებს თავდადებულთა გამიროულ ბრძოლებს, აჯანყება დაამარცხა რევოლიუარულმა რუსეთის ჯარმა; მტერი უკიდურესი ვერაჯობით დაერია, დამარცხებულ ერს, მაგრამ მიუხედავად რებრესიებისა, მასიური ქლეტისა, ქართული სისხლის დაღვრისა, მან ვერ შესძლო ჩვენი ხალხის დამხობა და დაჩოქება. ერი სულიერად იზრდება და მტკიცდება, მისი სულიერი სიმტკიცის ცხოველმყოფელი სხივები, თაობიდან თაობებზე გადადიოდა და ვითარდებოდა, თუ დროთა და ჟამთა ვითარებაში ერის წინააღმდეგობა სხვა და სხვა ხსსიათს ღებულობდა, მას ამოძრავებდა ერთი დაიგივე რწმენა და გარდაწყვეტილება — ჩვენი სამშობლოს მეობის გადარჩენა და შენარჩუნება, ჩვენი სამშობლოს თავისუფლება აშმის დამამტკი-

ცებელია, ჩვენი ხალხის მტკიცე გამოსვლა აპრილის დღეებში, როდესაც მან გამოვიდა ერთსულოვნად, მიუხედავად ყოველგვარ საშიშროებისა, ასე მედგრად დაიცვა მისი უძვირფასესი საუნჯე, მისი მშობლიური ენა. ამ ეროვნულ გლოვის დღეს, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ის შეუპოვარი სიმტკიცე ხასიათისა, რომელიც ჩვენ ერს არა ერთხელ გამოუჩენია როგორც ახლა ისე წარსულში, თავდებია იმისა, რომ ქართველი ერი, სხვა მის ბედში მყოფ ერებთან ერთად მოიპოვებს იმ თავისუფლებას, რომელსაც ის ასე ეტრფის, უკვდავი ერი, რომელმაც წარმოშვა ათასობით თავგანწირული გმირები.

]-[

## ი ს ლ ა მ ი

ადვილად შეინიშნება, რომ, რამოდენიმე წელია ისლამის პრობლემა დიდად აქტუალური გახდა. თუ წინად, ისლამის ქვეყნები დამოკიდებულნი იყვნენ დასავლეთზე, ახლა არაბები გახდნენ საკუთარი ბედის პატრონნი წარდგენილნი ერთა კავშირში. სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ახლო და საშუალო აღმოსავლეთის პრობლემა ხდება ცენტრისათვის კრიზისი.

ასალი არაბთა სახელმწიფონი, რომელთაც ძიიდეს დამოუკიდებლობა, ცდილობენ საკუთარ გაავლენის გაზრდას; თითოეული მათგანი ცდილობს გახდეს ხელმძღვანელი ისლამური ქვეყნებისა. მიუხედავად ამისა, ისინი ერთდებიან, ერთს მთლიან ძალას აარსებენ, რათა განდევნონ დასავლეთი არაბეთიდან.

შეუძლებელია ისლამს შეეცხოთ ნავთის საკითხის გარეშე; თუ იყო, ნავთის ფასი არ იცვლებოდა ახლა არაბები იმდენად აძვირებენ ნავთს, რომ ქმნიან საერთაშორისო კართულებებების შესაძლებლობას, თვითონ კი, ცდილობენ ათთვისონ განვითარებული ტექნიკა ურომლოსოდ არაბთა ეკანომიკა ჩაეარდება სიღარიბეში.

გართულებულ მდგომარეობას ემატება პალესტინის სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა, მაგრამ ისრაელმაც ხომ უნდა იარსებოს, რომელმაც ათასეულ საუკუნის ბრძოლის შედეგად დაამყარა საკუთარი ნაციონალური კერა. არაბები ბრალს სდებენ ამერიკას თუ რატომ შექმნეს ისრაელის სახელმწიფო. ისრაელი მიმართავს ამერიკას, რაათა მან უზრუნველჰყოს მისი დამოუკიდებლობა

არაბულ ქვეყნებში, მიუხედავად ნავთოულობის სიმდიდრისა მშრომელი მასსები უმწეო მდგომარეობაში არიან და მოითხოვენ არა მარქსიზმს არამედ თითქმის მათგანს ჰქონდეს სამუშაო მიწა-წყალი.

დღეს ისლამი ბასრი იარაღი გახდა ავღანისტანელები-საფეის რომლის დროშით ისინი იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ასევეა ირანიც, რომელსაც სურს თავისი ბატონობა, იმპერიალისტური ზრახვები ისლამის გზით განახორციელოს. ჩვენს განზრახვაში არ შედის ყველა იმის გარჩევა რაც ისლამის სახით კეთდება ირანში, ხოლო იმას რაც ირანში ხდება არაფერი საერთო არა აქვს ისლამის სარწმუნეობასთან.

## XX

—[—]

**ქრისტეფორე იმნაიშვილს შეუსრულდა 80 წელი.**

საქართველოს თავისუფლებისათვის, ძველ მებრძოლს ჩვენ მედროშეს ქრ. იმნაიშვილს შეუსრულდა 90 წელი

პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო, პარიზის ორგანიზაცია და „ჩვენი დროშის რედაქცია“ უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას.

## კავკასიის პრობლემა

თუ მივიღებთ მხედველობაში კავკასიის გეოგრაფიულ მდგომარეობას ორ ხმელთა შუა, მის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ბუნების სიუხვეს, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ მას ბევრი „მოტრფიალე“ ჰყავს გადაღმა, ჩვენ არ ვამბობთ მართა მეზობლებზე, ერთი კიდეც ფლობს და ჯიჯგუნის მას ჩრთილოეთიდან, მეორე და მესამე სამხრეთიდან, საუკუნოები იბრძოდნენ მის ხელში ჩასაგდებად, ფლობდნენ კიდეც, თუმცა ხშირად ხელიდან უსხლტებოდათ მთლიანად თუ ნაწილ - ნაწილად. ცხადია, რომ თურქეთსა და ირანს გადამწყვეტი როლის თამაში არ შეუძლია, ცალკალკე თუ ერთად კავკასიის განთავისუფლების საქმეში, მაგრამ ამავე დროს, თუ ობიექტიურად შევხედავთ საკითხს, ისინი უსათუოდ დანტერესებულნი უნდა იყვნენ ამაში. ვინ არ იცის, რომ მოსკოვის „მეგობრობა“ აიხსნება მისი სისუსტით, თორემ ის, რომ ძლიერი იყოს, იმავე გეზს აიღებდა, რასაც პეტერბურგი ატარებდა.

მოსკოვის მიერ ამ უკანასკნელად შემოღებული ფრანგოლოგია, მის მიერ რომანოვების დროის ურა პატრიოტიზმის ქადაგება და დაკანონება უკვე საკმარის ნათლად ამჟღავნებს რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს, მხოლოდ ზოლშევიკებს არ შესწევთ ძალა მათი განაღდებისთვის, მაგრამ არის თუ არა იმის გარანტია, რომ რუსეთი მუდამ ასე უძღური დარჩება და ერთ მშვენიერ დღეს არ მოხდება იქ ისეთი გადატრიალება, რომელიც ერთბაშად აღადგენს ნორმალურ მდგომარეობას? განა საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაში ის კვლავ სახიფათო გახდება ოდესმე?

ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან, ვის როგორ უნდა მოეპყრას, ვინ იგულოს მეგობრად თუ მტრად. სამი ქვეყნის: ოსმალეთის, ირანის და კავკასიის საარსებო ინტერესები ერთი მეორეს ხედებიან, ეთანახებიან და თვითოული მადგანი უნდა ვიფიქროთ, ერთობის მტკიცე დამცველად გამოვა; ჩვენ ისიც შეგვიძლია დავძი-

ნოდ, რომ როცა ჩვენი მეზობლები სადაბადის პაქტს სდებდნენ, ერასა და ავლანისტანთან, კავკასიისაც მასზე ხელი უნდა მოეწერა, რომ თავისუფალი ყოფილიყო.

ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან კავკასიის ერთა სულისკვეთება, რომელნიც თავდადებულად არსებული პირობების და მიხედვით იბრძვიან რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, თავიანთ დამოუკიდებლობის აღსადგენად და ამ დროს მათ მიმართ ანტი თურქული ბრალდების წამოყენება პირდაპირ დანაშაული იქნებოდა.

კავკასიის ამოცანა ორგანიულად ჩაქსოვილია მის მეზობელთა და სხვა დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაში. მას სწავლობენ, თვალყურს ადევნებენ და ხელსაყრელ დროს კიდევ დასვამენ საკითხს. საფიქრებელი მაშასადამე ის გი არ არის, ვთომ კავკასია ვისმეს ავიწყდებოდეს, არამედ ის რომ მისი ბედი თვით კავკასიელების ზურგს უკან არ გადასწყდეს, რომ ეს უბედურება თავზე არ დაატყდეს კავკასიის ერებს, საჭიროა ერთა სოლიდარობა! გვინდა ვიწამოდ რომ ქართული კულტურული ძალები ამ მხრივ გასწევენ სათანადო მუშაობას.

**პ. სარჯველაძე**

— : —

**ედუარდ შევარდნაძე რუსული ენის  
პროკავანდისტის როლში.**

ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას“ მიმდინარე წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის წერილი სათაურით: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში“.

შევარდნაძე დიდი პათოსით და აღფრთოვანებით წერს საბჭოთა კავშირის ეროვნული საკითხების სხვადასხვა

ასპექტებზე, რომელთა შორის ჩვენი ყურადღება ენის პრობლემამ მიიპყრო. შევარდნაძე აღნიშნავს: „დედა ენის სწავლის გაუმჯობესებასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა რუსულ ენას, რომელიც ასრულებს ქვეყანაში ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ენის ფუნქციას. დედა ენისა და რუსული ენის სწავლების ინტერესები არამც, თუ არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს“

მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოზე მიუთითებენ. ავიღოთ პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ ეზლახან გამოქვეყნებულ ბროშურაში სათაურით: „საბჭოთა კავშირის მოსახლეობა“ მოყვანილი დემოგრაფიული მაჩვენებლები. წინად ჩატარებული აღწერათა შედეგებთან მათი შედარებისას ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირში აშკარად მიმდინარეობს გარუსების პროცესი.

1970 წელს ჩატარებული მოსახლეობის საკავშირო აღწერის დროს უკრაინელთა მხოლოდ 85, 7 პროცენტმა სცნო უკრაინული ენა დედა ენად, ხოლო 1979 წელს ჩატარებული ბოლო აღწერისას, ე. ი. სულ რაღაც 9 წლის შემდეგ, ეს მაჩვენებელი 82, 8 პროცენტამდე დაეცა. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ბელორუს მოსახლეობაში. თუ 1970 წელს ბელორუსული ენა დედა ენად ბელორუსთა 80, 6 პროცენტმა მიიჩნია, 1979 წელს ეს მაჩვენებელი 74, 2 პროცენტს უდრიდა. ე. ი. ბელორუსთა ერთი მეოთხედისთვის დედა ენა უცხოდ იქცა. აღწერათა მასალები მოწმობენ, რომ დედა ენის განსხვისების სწრაფი პროცესი გავრცელდა თათრებზე, მოლდაველებზე, და მთელ რიგ სხვა ხალხებზე, ხოლო ის ერები, რომლებსაც საბჭოთა კავშირში საკუთარი ტერიტორიული ერთეული არ გააჩნიათ, ასიმილაციის აშკარა საშიშროების წინ აღმოჩნდნენ. დღეს, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ გერმანელთა თითქმის ორმილიონიანი მოსახლეობის მხოლოდ 57 პროცენტი სცნობს გერმანულს დედა ენად; 1 მილიონ 150 ათასი პოლონელის მხოლოდ 29 პროცენტს მიაჩნია პოლონური ენა დედა ენად. ასეთივე მდგომარეობაში არიან ბულგარელები, რუმინელები, ბერძნები და სხვა

ერები. ებრაელთა თითქმის ორმილიონიანი მასიდან დედა  
ჩნათ ეროვნულ ენას მხოლოდ 14 პროცენტი მიიჩნევს  
რაც გამოწვეულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ან-  
ტი სემიტიზმის მძვინვარებით, ებრაული ენის, სარწმუ-  
ნოებისა და კულტურის საყოველთაო დევნით.

რაც შეეხება ქართველებს, მათში დედა ენის განსხვავი-  
ბის პროცესი ნაკლებად არის შესამჩნევი, აფხაზებსა და  
ოსებში კი საკმაოდ საყურადღებოა. ყოველივე თქმულის  
შემდეგ განა სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ შევარ-  
დნაძის მტკიცება, რომ თითქოს დედა ენის და რუსული  
ენისა და რუსული ენის სწავლების ინტერესები არამც თუ  
არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

– მოსკოვი რომ გარუსების პოლიტიკას დაეინებოთა და თა-  
ნამიმდეგრულად ატარებს, და ეს პოლიტიკა რომ წინაღ-  
მდეგობათა გარეშე არ მიმდინარეობს, ამის მოწამე ხომ  
თვით შევარდნაძე იყო 1979 წლის აპრილში, როცა საქა-  
რთვლოს ახალგაზრდობამ და ინტელეგენციამ მძლავრი  
მასობრივი დემონსტრაციით უპასუხა გარუსების პოლიტი-  
კის კონსტიტუციური გზით შემოტევას. მხოლოდ ამ საპ-  
როტესტო გამოსვლათა შედეგად გახდა მოსკოვი იძულე-  
ბული ახალ კონსტიტუციაში დაეტოვებინა 1937 წლის კო-  
ნსტიტუციის დროიდან არსებული პარაგრაფი, რომ ქარ-  
თული ენა საქართველოს სახელმწიფოებრივი ენაა.

დედა ენათა განსხვავების პროცესის პარალელურად,  
აშკარად შეინიშნება დედა ენის გარდა, რუსული ენის თავ-  
სუფლად მფლობელთა რიცხვის ზრდა. 1970 - დან 1979  
წლამდე, დედა ენის გარდა, რუსული ენის თავისუფლად  
მფლობელთა რიცხვი უზბეკებში 34, 8 პროცენტით გაი-  
ზარდა, დაღესტანელ ხალხებში 18, 6 პროცენტით, ლიტ-  
ველებში, 16, 2 პროცენტით, თურქმენებში, ყაზახებში,  
აზერბაიჯანელებში, უკრაინელებში, მოლდაველებში,  
ტაჯიკებში, ეს მაჩვენებელი 10 - დან - 15 პროცენტა-  
მდე მერყეობს. დედა ენის გარდა რუსული ენის თავისუ-  
ფლად მფლობელთა რიცხვი 9 წლის მანძილზე აფხაზებ-  
ში 14, 1 პროცენტით გაიზარდა, ოსებში 6, 3 პროცენტით  
და ქართველებში 5. 1 პროცენტით გაიზარდა, ოსებში  
6. 3 პროცენტით და ქართველებში 5, 4 პროცენტით.

მსჯელობაში აღნიშნული წინააღმდეგობების დაშვება ედუარდ შევარდნაძეს სხვა და სხვა მიზეზებით თუ შეიძლება ეპატიოს, მაშინ მას, როგორც დღევანდელი საქართველოს მმართველს, არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება შემდეგი განცხადება: „აშკარად სჩანს, რომ რუსული ენის დაუფლება ხელს უწყობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტად გახდომას, ცოდნისა და კულტურის მსოფლიო საწყისებთან დაახლოებას“.

ედუარდ შევარდნაძეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ქართული ენა, საქართველო, ერთ დროს თვით იყო მსოფლიო კულტურისა და ცოდნის ერთ - ერთი საწყისი. ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლად შექმნა დამწერლობის საკუთარი სისტემა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსული დამწერლობა არც კი არსებობდა, კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში რიტორიკასა და ფილოსოფიაში ცოდნას იღებდა მაშინდელი ცივილიზაციის ბევრი წარმომადგენელი, მათ შორის ბერძნები და რომაელებიც. ქართველის - ფსევდო დიონისე აეროპაგიტისა და მისი მიმდევრების ფილოსოფია მთელს ეპოქას შეადგენს ფილოსოფიის ისტორიაში. ქართულ სიბრძნეს უფლობდნენ პეტრიცონის ქართულ სემინარიაში ბულგარეთში, ათონის მთაზე საბერძნეთში, ჯვრის მონასტერში იერუსალიმში, აგრეთვე საქართველოში არსებულაკადემიებში. მე - 12 საუკუნეში, დასავლეთ ევროპულ რენესანსზე ორი საუკუნით ადრე აღორძინების ხანისა და ჰუმანიზმის პირველ პირველ საყვირად შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ მოველინა მსოფლიოს.

და ასეთი ერის წიაღიდან გამოსულ ადამიანს განა ეპატიება მოუწოდოს თავის ხალხს დაეუფლოს რუსულ ენას მსოფლიო კულტურის საწყისებთან დისაახლოებლად? უკეთესი არ იქნებოდა, დედა ენის ზიანის მოტანის გარეშე რუსულის გარდა, ქართული და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები დაეუფლონ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებს? ეს უფრო არ შეუწყობდა ხელს მაღალ კვალიფიკაციის სპეციალისტად გახდომას, თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის საწყისებთან დაახლოებას?!

იაკობ კირხელი.

## საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის გაპოტრება.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმედი დაჰკარგა მიაწოდოს მცხოვრებთ კოლხოზური სისტემით სურსათ - სანოვაგე, არ გამოდგა ეფექტიური, ცდები იმის შესახებ, რომ გადიდებულიყო ბოსტნეულობის, ხორცის, რძის რაოდენობა, რადგან სასოფლო მეურნეობის პოლიტიკა შეფარდებული არის პარტიულ იდეოლოგიასთან, ათასეული მოქალაქეთა გაგზავნა სოფლად უჩვეულო პირობებში, - უშედეგოდ დამთავრდა.

შრომის კოდექსში ნათქვამია: მუშის გადაყვანა შეიძლება ერთი ადგილიდან, - მეორეში, მაგრამ მეორე მუხლი ამ კოდექსისა მას ეწინააღმდეგება, რაც იწვევს არა მარტო პროტესტებს, არამედ ნამდვილ საბოტაჟს. ამის მაჩვენებლად ერთი მაგალითიც საკმარისია, თითქოს უბრალო მაგრამ რამდენად დამახასიათებელი, სახელდობრ. იმის მაგიერ მარწყვი მოკრიფონ, წააყრიან მიწას, რომ მძიმე ტვირთი არ დაუჩრჩეთ წასაღებად....

მოქალაქეთა სოფელში იძულებითი, ჩამოყვანით, სოფელი იცლება, იხურება სავაჭროები. ვინ ამბობს ამას? საბჭოთა პრესა. ადმინისტრაცია აძლიერებს ზომებს, ხდება მცხოვრებთა მობილიზაცია, მეორდება ძველი ნაცადი ხე-რხი. კოლხოზურ - სოვხოზური ერთეულები მიმაგრებული არიან, ამა თუ იმ სამრეწველო დარგთან, უკანასკნელი ვალდებულია გაგზავნონ მუშები სოფლებში. რომელთაც ევალებათ გასწიონ სოფლად პარტიული მუშაობა.

სამრეწველო დარგებს თვით ევალებათ შექმნან კოლხოზები. სოფლებში იგზავნება მივლინებაში აგრანომ - ტენიკოსები, სასოფლო მეურნეობაში სპეციალიზაციის მოსახდენად, თითქოს შეჩერდა რამოდენიმედ მაღლიდან დაწოლა. ამჟამად ხელმძღვანელობის ყურადღებას იპყრობს ქარხნებთან მცირე მოცულობის ბაღების გაშენება. ეძლევა წინადადება ქარხნების ადმინისტრაციას უზრუნველყონ მუშა - მოსამსახურები მათივე მოყვანილ შრომის ნაყოფით.... გამოგონება არც ისე ცუდია, რომ მაკიაველუ-

რი არ იყოს, ხელისუფლების სავალალოდ ქარხნის მუშა, დალილ დაქანცული ვერ სწვდება ორნაირ შრომას, ერთიც და მეორეც დეფექტიურია, მაგრამ ხელისუფლებისათვის გამოსადეგი, გაბედოს და ბრალი დასდოს მუშას უსაქმურობაში!

სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია დღეს მომხდარა ფაქტია.... დიდი ხნიდან დაწყებული ლოზუნგი, სოფლის ქალაქთან დასახლოებლად, განუწყვეტლივ მეორდება..

განა აღნიშნული ღონისძიებანი შველის საქმეს? 1963 წლის ე. წ. ლიბერმანის ეკონომიურმა გეგმამ ისე დააფრთხო საბჭოთა მთავრობა, რომ ის არა ერთ მოჩვენებითი ზომას ლებულობს მაგრამ უშედეგოდ; მთელი ეს უზარმაზარი იმპერია შიმშილს აცდებოდა, რომ წყეულ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან ხორბლეულობა არ შემოჰქონდეს. ყველა ეს ღონისძიებანი ნათელს ჰყოფენ საბჭოთა სასოფლო მეურნეობის დაუსრულებელ კრიზისებს....

კარლო ინსარიძე.



## პოლონეთის განმანათავისუფლებელ მოძრაობიდან.

იმ ერთა შორის, რომლებმაც გადაიტანეს გმირული ბრძოლები რათა განთავისუფლებულიყვნენ უცხო ბატონობისაგან, მათ შორის მარად იმყოფება მხნე და გულადო პოლონეთის ერი. ერთ წერილში ძნელია ყველა ბრძოლების ერთად აღწუსხვა. 1863 წლის აჯანყების დამარცხება ბევრის მთქმელია და დამახასიათებელი. მან მოახდინა აზროვნებაში ღრმა გარდატეხა; მან გამოიწვია შესვენების წაწოლის ტაქტიკა, რაც გაგრძელდა 1914 წლამდე.

თუ ხანგამოშვებით წარმოიშვებოდა სურვილი აჯანყების კვლავ მოსაწყობად, მაშინვე ლებულობდნენ ზომებს მეთაურნი, რომ ის ჩაეცხროდ. ბრძოლა სწარმოებდა გან-

საზღვრულ უფლებრივ ფარგლებში, ბრძოლის ასეთი შინა-  
არსით მოძრაობაში ილვიძებდა ეროვნული სული, კვლავ  
მოდირდა სურვილი შერკინებისა, მიუხედავად უმოქმე-  
დებისა. - ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, მას სათავეში  
ჩაუდგა თავისი ქვეყნის საყვარულით აღტაცებული რო-  
მანტიკოსი, ამავე დროს ცივი რეალისტი იოსებ პილსუდ-  
სკი, რომლის ბიოგრაფია სავესეა გმირული საქმიანობით,  
მათი მოქმედების ლოზუნგი იყო პოლონეთის დამოუკი-  
დებლობა და ხალხის განთავისუფლება.

პილსუდსკი აქტიურად ჩაება გამანთავისუფლებელ  
ბრძოლაში, მან შეუფარდა თავისი ტაქტიკა შექმნილ მდ-  
გომარეობას. შექმნა სამხედრო ჯგუფები რათა ჩარეოდა  
და შებრძოლებოდა რუსეთს, რომელსაც იგი პოლონეთის  
უშთავრეს საბყრობილედ სთვლიდა.

პილსუდსკი არ შემცდარა, 6 აგვისტოს 1914 წელს, მოა-  
ხდინა თავის „დრუჟინების“ მობილიზაცია და ომი გამო-  
უცხადა რუსეთს. პოლონეთის შეიარაღებული დისციპლი-  
ნით შეკრული ჯარები გამოვიდნენ საშინელი მტრის წინა-  
აღმდეგ... შედეგი ვიცი. პოლონეთმა აღადგინა თავისი  
სუვერენული უფლებები. პოლონეთის გამანთავისუფლე-  
ბელი მოძრაობის ისტორია იძლევა ბრძოლის ტაქტიკის  
საინტერესო ცვალებადობას, იგი შეფარდებულია ამა თუ  
იმ ხანის საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილესთან,  
ხან აქტიური, ხან პასიური. ცნობილია როგორ იქმნა გამო-  
ყენებული აგრარული მოძრაობა და მხატვრული ლიტე-  
რატურა პატრიოტულ განწყობილებას რომ ქმნიდა ერში.

უკანასკნელი ომის შედეგად პოლონეთში გამეფდა უც-  
ხო იდეოლოგია ქვეყანა მოექცა უცხო სახელმწიფოს მიერ  
შექმნილ ბანაკში. მის ტერიტორიაზე დაბანაკებულია  
რუსის ჯარები.

ის რაც პოლონეთში ხდება, მაჩვენებელია იმისი, რომ  
იგი ადრე თუ გვიან კვლავ მოიპოვებს სრულ დამოუკიდე-  
ბლობას.

ამნაირად, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში

გამობრძმედილმა, გმირულმა პოლონელმა ხალხმა, კიდევ ერთი მაგალითი მოგვცა, თუ რა შეუძლია და როგორ შეუძლია ერს, თავისი ერთსულოვნებით და გადაწყვეტილებებით მიაღწიოს ერის, მიუცილებელი საჭიროების საკითხების გადაჭრას. უმთავრესად, როცა მოძრაობას მშრომელი მასა წაიყვანს; მთელი ერის თანაგრძნობას და ნდობას დაიმსახურებს. ასეც მოხდა — პოლონელ მუშათა შეგნებულმა, მასიურმა მოძრაობამ მთელი ერის წინამძღოლობა შესძლო და ამნაირად საქმემ გაიმარჯვა.

პირველად არის, რომ კომუნისტურ ქვეყანაში ხდება მუშათა გაფიცვები, დისციპლინით დარაზმულნი მხნედ და მწყობრად გამოვიდნენ მუშათა მასები და რამოდენიმე დღის მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს დაკმაყოფილება, სახელდობრ თავისუფალი, დამოუკიდებელი სინდიკატების და გაფიცვის უფლებები. გაანთავისუფლეს აგრეთვე პოლიტიკური ტუსაღები, ისეთიც კი, რომელიც მოითხოვდა პოლონეთის სრულ დამოუკიდებლობას. მოძრაობაში უდიდესი გავლენა მოახდინა სარწმუნოებრივ ფაქტორმა, მუშები ჯერით და ლოცვით გამოვიდნენ ქუჩებში, სამღვდლოება მათ წინ მიუძღოდა. მიღწეულ შეთანხმებას ექნება უდიდესი გამოძახილი აღმოსავლეთის ყველა ქვეყნებში და წინამორბედი იქნება დიდი მოვლენებისა.

პოლონეთის მთავრობამაც გამოიჩინა დიდი გამჭრიახობა და წინდახედულება.

პოლონეთმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი პოლიტიკური და ნაციონალური სიმწიფე, აღსანიშნავია დასავლეთის კომუნისტურმა პრესამ მოიწონა: შეთანხმება ამით მოსკოვი მოექცა იზოლიაციაში, განიცადა დიდი მორალური მარცხი. მან გამოაქვეყნა განცხადება, თითქოს პოლონეთში მოქმედებდა „ანტი სოციალისტური ძალები.“

არ შეგვიძლია ექვი არ გამოვთქვათ, მიღწეული შეთანხმება იქნება დღეგრძელი თუ არა. ამას მომავალი დაგვანახებს.

ბ. ს.

## 26 მაისი საზრანგეთში

**26 მაისი** ქათველი ხალხის ეროვნული დღესასწაულია. მას ყოველ წლიურად დღესასწაულობენ უცხოეთში მყოფი ქართველები, განსაკუთრებით პარიზში და ვინაიდან მიმდინარე წლის დღე 26 მაისი სამუშაო დღე იყო, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებმა, ეს ეროვნული დღე აღნიშნეს კვირას პირველ ივნისს, პარიზის მახლობლად ლევილის ქართულ მამულში. ჯერ 26 მაისს, სრულ 18 საათზე, ქართველ მხედართა სახელით ვარსკვლავის (ეტუალის) მოედანზე, უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით იქნა შემკობილი. ცერემონიას მრავალი ქართველი და ღრანგი დაესწრო. იმავე დღეს წმიდა ნინოს ეკლესიაში, მამა ილიას მიერ გადახდილი იქნა პარაკლისი სამშობლოსათვის დაღუპულთა და გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად. როგორც ზევით ვსთქვით, დღესასწაული ჩატარდა ლევილის ქართულ მამულში. სამფერ დროშებით მორთულ ეზოში და აგრეთვე “მატოს,, სახლის დიდ დარბაზში, რომელიც მორთულია საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა სურათებით.

**26 მაისის** საღმრთაწაულოდ გამართულ სუფრაზე ქართულ და ფრანგულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბატონმა ვიქტორ ხომერიკმა. და ამერიკიდან სტუმრად ჩამოსულმა ჩვენმა თანამემამულემ გ. ზალდასტანიშვილმა. შემდეგ ფრანგულად ბატონმა თამაზ ნასყიდაშვილმა ომახიანად წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა, მან გაატარა ისტორიული პარალელები 26 მაისისა და ქართველი ხალხის მიერ საუკუნოებით ჩატარებული ბრძოლებისა და დასკვნა, რომ 26 მაისი იყო, არის და იქნება ლოდიკური შედეგი საქართველოს მარადიული არსებობისა.

სადღესასწაულო ღვინო დასრულდა ეროვნული ცეკვა-თამაშით. დამსწრე საზოგადოება დაიშალა კმაყოფილი და ცოტაოდენ მოწყენით, რომ კიდევ ერთხელ უცხოეთში ჩატარდა ქართველი ხალხის საზეიმო დღე.

## ს ო უ ო

სოშოს ქართველებმა იდღესასწაულეს ჩვენი ისტორიული და ქართველი ერისთვის წარუშლელი დღე არა ჩვეულებრივი ინტერესით. საზეიმო დღესასწაულს ესწრებოდნენ საფრანგეთში მცხოვრებთა ქართველ სათვისტომოს თავმჯდომარე ვ. ხომერიკი, ძველი მეზობლი პატრიოტები ქრ. იმნაიშვილი და პრ. ინწკირველი. საზეიმო სხდომა სსსრ-ის თავმჯდომარე გრ. ქვარცხავა, შესავალი სიტყვის შემდეგ სიტყვა ეძლევა ბატონ ვ. ხომერიკს, რომელიც ესალმება დამსწრეთ, აღნიშნავს და უსურვებს მხნეობას და იმედს, თქვენ იცით, ამბობს ის რომ ებრაელებმა 2000 წლის განმავლობაში იბრძოლეს და გაიმარჯვეს. ქართველ ერს არა აქვს საბუთი იმედი დაჰკარგოს, მოვა დრო და კრემლის ბატონები იძულებული გახდებიან დასტოვონ საქართველო და და თბილისის სასახლეზე კვლავ აფრიალდება სამფერი დროშაო. ილაპარაკეს აგრეთვე ქრ. იმნაიშვილმა და პრ. ინწკირველმა და სხვებმა; რის შემდეგ გაიშალა ქართული სუფრა, თამადად არჩეული იქნა ი. ხომერიკი, რომელმაც 26 მაისის საზეიმო სუფრა ღირსეულად დაასრულა. დღესასწაულის მომწყობთ მსურველე მადლობა მოახსენა, განსაკუთრებით ქალბატონ ქაქიაშვილის მეუღლეს და სხვა მანდილოსნებს გულ - უხევე სამსახურისათვის. ამ დღეს თითოეული ქართველის გული სამშობლოს მოგონებით და მისი ბრწყინვალე მომავლის ფიქრებით იყო გამსჭვალული.

ბახველი.

### გარდაიცვალენ:

გედევან ასათიანი.

დასაფლავებული იქნა 18 ივლისს პარიზის გარე უბანში, სახტრდობრ სან - კლუში.

ვალიკო წილოსანი.

დასაფლავებული იქნა 2 სექტემბერს ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

